კალენდარი

კალენდარში, იმ ღონისძიებების გარდა, რომელშიც მონაწილეობს მომხმარებელი, დამრიგებელს შეუძლია ნახოს საკუთარი სადამრიგებლო კლასების ღონისძიებები, სკოლის დირექტორს და მისი როლის მქონე მომხმარებელს კი - სკოლაში არსებული ყველა კლასის კალენდარი.
კალენდრის მარცხენა ზედა კუთხეში განთავსებულია ღილაკი, რომელზე დაჭერითაც ამოდის ფანჯარა.
ჩამონათვალი გამოჩნდება როლების მიხედვით:



ჩამონათვალი გამოჩნდება როლების მიხედვით:

- • **ჩემი კალენდარი** - ღონისძიებები მომხმარებლის მონაწილეობით. კალენდარში შესვლისას მომხმარებელს ყოველთვის გამოუჩნდება „ჩემი კალენდარი“.
- • **სადამრიგებლო** - დამრიგებლის როლის მქონე მომხმარებელს გამოუჩნდება საკუთარი სადამრიგებლო კლასების სია.
- • **სხვა კლასები** - დირექტორის და მისი როლის მქონე მომხმარებელს გამოუჩნდება ყველა კლასის სია.

მომხმარებელი აირჩევს შესაბამისს კლასს და გამოუჩნდება არჩეული კლასის კალენდარი, საგაკვეთილო ბადე და ჩანიშნული ღონისძიებები.
აღნიშნული ფუნქციონალის მეშვეობით სკოლის დირექტორს და მისი როლის მქონე მომხმარებელს შეუძლია მოთხოვნის საფუძველზე გამოგზავნილი შემაჯამებლის წაშლა.